საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 216-03
13/02/2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების პირობებისა და თარიღების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“
ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2026 წლის 30 იანვრის N 105-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე: **„კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)“, „კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“, „კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო)“, „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“ (ინგლისურენოვანი), „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“, „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“** გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს გასაუბრების ფორმატით და მის ძირითად მიზნად განისაზღვროს დარგობრივი ცოდნისა და მოტივაციის შეფასება. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **„თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმები და გამოყენებები“** ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს წერით და გასაუბრების ფორმატით.
2. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამებზე გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება/საგამოცდო პერიოდად განისაზღვროს 17 თებერვალი.

3. შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება/გამოცდა ჩატარდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის T კორპუსის 303; 306; 307 ოთახებში, 09:00 საათიდან.
4. დეტალური ინფორმაცია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის დროის შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს არაუგვიანეს 16 თებერვლის 18:00 საათისა.
5. შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება/გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 17 თებერვლის 18:00 საათისა.
6. გარე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა საპრეტენზიო განაცხადები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე გადმოაგზავნონ შემდეგ ელ. მისამართზე bte@iliauni.edu.ge 18 თებერვლის 12:00 საათის ჩათვლით.
7. განმეორებითი გასაუბრება/გამოცდის პერიოდად განისაზღვროს 18 თებერვალი.
8. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

ნიკოლოზ ყაველაშვილი

დეკანი